**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# კეკელიძე გიორგი ზურაბის ძე



გ. კეკელიძე

კეკელიძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 10. IV. 1984, ქ. ოზურგეთი), პოეტი, პროზაიკოსი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (2009). 2006–08 მუშაობდა რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ქართ. ენისა და ლიტ-რის პედაგოგად. დააარსა და იყო მთ. რედაქტორი (2006–12) ელექტრონული ბ-კისა „Lib.ge"; ასევე, თსუ-ში დააარსა გაზეთი (მოგვიანებით ჟურნალი) „ლილ". 2010-იდან კითხულობს ლექციებს თავისუფალ უნ-ტში, 2011–14 – აგრარულ, 2017-იდან კი – შავი ზღვის უნ-ტში, 2010–12 იყო „ახალ არხზე" (ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის" - საგანმანათლებლო არხი) თავისუფალი უნ-ტისა და "Lib.ge-ს" ტელეგადაცემა „ინტერპრეტაციის" წამყვანი და ავტორი. 2012-24 იყო საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კის დირექტორი.

**კ.** ავტორია პოეტური კრებულებისა: „ოდები" (2008), „პოეზია 2008–2013"; პოემისა „ყორანი" (2011), ; ასევე, პროზაული ნაწარმოების „გურული დღიურები" (2014), „თომა და დიდი საიდუმლო“ (2021), „სხვა ცის ამბავი“ (2021). ნათარგმნი აქვს ავსტრიელი პოეტების ლექსები, მსოფლ. *ლიტ.* ზღაპრების კრებ. „ჯადოსნური კარი", ს. დორენკოს „რომანი 2008".

**კ**-ს მიღებული აქვს *ლიტ.* პრემია „საბა" კრებულისათვის „ოდები" (2009), ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრემია „ოქროს ფრთა" *ლიტ.*,

ტელედაინტერნეტპროექტებისათვის „ინტერპრეტაცია და ლიტარეა" (2012), მუშვინგის საერთაშ. *ლიტ.* პრემია (2013), წინანდლის *ლიტ.* პრემია კრებულისათვის „პოეზია 2008–2013" (2015), გ. რჩეულიშვილის პრემია „გურული დღიურებისათვის" (2015).